გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1893



**დავით და ივანე ბესარიონის ძენი ზედგინიძეები** ამით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა, რომ 25 ამ თებერვლისას, დილის 10 საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცეული წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მათის მამის **დეკანოზ ბესარიონ ზედგინიძის** მოსახსენიებლად.

(1—1)

## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. ღიაა 9—2 საათამდე.

(50—2) აგენტი დ. ქ. თუთაევი

ქართული თეატრი

პარასკევს, 26 თებერვალს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან

**მ. მ. საფაროვის გამგეობით**

წარმოდგენილ იქნება

## რევიზორი

ხუთ მოქმედებიანი კომედია გოგოლისა.

მოთამაშენი: ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, შათიროვი, კანდელაკი, სათაროვი; ქ-ნნი სარიძისა, მძინაროვისა, ტარიელოვისა, რჩეულოვისა და სხვ.

წარმოდგენის წინად ორკესტრი შეასრულებს

**ღმერთო ჰფარვიდე ხელმწიფეს**

ანტრაქტებში დაუკრავს

**გურულების ორკესტრი**

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

**ანონსი.** მზადდება შემდეგი პიესები: პეპო, დრონი მეფობენ, ლანდი, ტერეზია, ორი ობოლი, ოტელო, და სხვ.


ტფილისი, 23 თებერვალი

ვიდრე ქალაქის ამომრჩეველთა სიებს გავსინჯავდეთ და ვივარაუდებდეთ, ვისაგან უნდა შესდგეს ახალი საბჭო, საჭიროდ მიგვაჩნია ჩავახედოთ მკითხველი იმ უსიამოვნო ურთიერთობაში, რომელმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, იჩინა თავი ამ უკანასკნელ ორ წელიწად ნახევარს სომეხ და ქართველ ხმოსანთა შორის. ამ უსიამოვნო, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უადგილო მოურიგებლობის გამოსაცნობად ჩვენ დაგვჭირდება თვალი გადავავლოთ წარსულთა საბჭოთა შინაგანს ღირსებასა და ხმოსანთა ვინაობას.

დღეს აღარავის უნდა ეუცხოვოს ის უტყუარი აზრი, რომ კავკასიის ქალაქებში თავისის თვითმმართველობით და შინაგან მართვა-გამგეობით ყველაზედ საქებურად იჩინა თავი ჩვენმა ტფილისმა. რამდენადაც ვიცით მოღვაწეობა თვით რუსეთის სატახტო საბჭოთა და აგრეთვე მოზრდილ ქალაქთა თვით მმართველობისა, უნდა ვსთქვათ, რომ მათთან შედარებითაც-კი ტფილისის საბჭო ხმოსანთა ღირსებით უპირატეს ადგილს დაიჭერს. თუ მკითხველს უდევნებია თვალ-ყური რუსეთის ქალაქთა საბჭოებისთვის, ეცოდინება, რომ ამ საბჭოებს მომეტებულ შემთხვევაში ჰყავთ მარტო ერთი მეოთხედი ნაწილი განათლებულ ხმოსანთა, ხოლო სამი მეოთხედი შეგხვდებათ იმისთანა ხმოსნები, რომელთაც თავიანთს დუქნებსა და ტრახტირებს გარეშე ბევრი არა გაეგებათ-რა და ხმოსნებად მოჰყოლიან მხოლოდ სიმდიდრის წყალობით. რა თქმა უნდა, რომ უმეტესი ნაწილი ამ უკანასკნელთა ძლიერ შორსა დგას შესახებ იმისა, თუ რა არის სინდისიერი პატრონობა ქალაქისა, რა მოვალეობა უნდა ჰზიდოს ხმოსანმა წინაშე ამომრჩეველთა, როგორ უნდა შეუმსუბუქოს ცხოვრება ხელმოკლე მოქალაქეს და რა გზით უნდა ჩააყენოს ადამიანურს კვალში მდიდარი მოქალაქე, რომელსაც აკლია სამოქალაქო და საქვეყნო განვითარება. ამ მხრივ ჩვენი საბჭო ყოველთვის სამაგალითო იყო ჯერ მაშინაც-კი, როდესაც ტფილისში არ შემოეღოთ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე მეორის საქალაქო დებულება და როდესაც ჩვენში ჰმოქმედობდა განსაკუთრებული საქალაქო კრებული თავისის ხმოსნებით. ათში ცხრა ნაწილი ხმოსანთა მაინც უმაღლესს სასწავლებელში გამოტარებული ჰყოლია ჩვენს საბჭოს და ჰყავს დღესაც. ამისთანა განვითარებულ საბჭოს, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა საუკეთესო დაწესებულებათა შემოღება, თუ-კი ქალაქის შეძლების სიმცირე არ შეუკრავდა ხელს და უკან არ დააყენებდა მხურვალე წადილს ქალაქის სასურველ მოვლა-პატრონობისას, რომლისთვისაც ისე უცემდათ გული ჩვენს ხმოსნებს.

როგორც მკითხველს ეცოდინება, საქალაქო დებულების შემოღების წინად ტფილისის მოურავად იყო აწ განსვენებული თავადი იაზონ თუმანიშვილი. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იმ დროს უკეთესი სამოურავო კაცი მოიძებნებოდა ტფილისში, რადგან მჯობთა-მჯობი არ დაილევაო, ნათქვამია, მაგრამ ჯერ მაშინვე ქალაქის წარმომადგენლობამ, იაზონ თუმანიშვილის მეთაურობით, შესძინა ჩვენს ქალაქს, სხვათა შორის, ერთი დაუვიწყარი განძი. მე მოგახსენებთ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელს, რომლითაც იაზონ თუმანიშვილმა სამუდამო სახსოვარი დასტოვა ტფილისის მოქალაქეთა გულში. მან შეჰკრიბა მოქალაქენი, აუხსნა გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება ხელოსანთა, მოიშველია განათლებული და გავლენიანი ხმოსნები მაშინდელის საბჭოსი და მათის შემწეობით განახორციელა ისეთი საზოგადო საქმე, რომელსაც, კარგა ხანია, მაგალითი არა ჰქონოდა ტფილისში. კერძო შემოწირულობით მოაგროვა იმოდენა თანხა, რომ მოსახერხებელი შეიქმნა დიდის, ფართო და ძვირფასის შენობის აგება და სასწავლებლის დაარსება.

ასეთივე შეგნებული და რჩეული ხმოსნები ჰყავდნენ თავად თუმანიშვილის შემდგომს მოურავს ქალაქისას, ქართველთათვის თავდადებულს და დაუვიწყარს დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანს, რომელიც პირველად მოურავი იყო ტფილისისა საქალაქო დებულების შემოღების შემდეგ. 1879 წლიდგან მოკიდებული ვიდრე ივნისამდე 1881 წლისა ქალაქის მოურავად იყო ალექსანდრე სტეფანეს ძე მატინოვი, რომელსაც ყოველ ოთხის წლის შემდეგ კვლავ ირჩევდნენ ხოლმე ამ ადგილზედ. ოთხჯერ ზედიზედ იყო იგი ამორჩეული ქალაქის მოურავად. ხოლო ივნისიდგან 1891 წლისა, ქალაქის მოურავად საბჭომ მოიწვია თავადი ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკი, რომელიც დღესაც მოურავობს ტფილისში.

ამ სახით, ყველაზე ხანგრძლივი და ამის გამო ნაყოფიერი მოურავობა ჰხვდა ა. ს. მატინოვს, რომელსაც გვერდში უდგნენ: ნიჭიერი მოღვაწე პ. ა. იზმაილოვი, დაუღალავი და ცნობილი მუშაკი ნ. ა. პაპოვი და ე. ე. ხოსროევი. ყველა ეს დასახელებული კაცები ერთად შეადგენდნენ ქალაქის გამგეობას, ხოლო საბჭოში ისხდნენ, სხვათა განათლებულ ხმოსანთა შორის, ნიჭიერნი წარმომადგენელნი მაშინდელის ოპოზიციისა—ნ. დ. ზუბალაშვილი, თავ. კ. ა. ბებუთაშვილი, კ. მ. ალიხანოვი, ა. ა. იოანისიანი, მ. ი. თამამშოვი, გ. გ. ევანგულოვი და ბოლო ხანებში თავ. ვ. ს. მიქელაძე. ყველაზე ძრიელი მომხრე და მოსარჩლე გამგეობისა იმ დროს იყო ნ. ი. ნიკოლაძე.

ჩვენ გაზეთში არა ერთხელა ყოფილა ჩამოთვლილი საქმეები, რომელიც გააკეთა ტფილისის თვითმართველობამ ბ ნ მატინოვის მოურაობის განმავლობაში, და ამიტომ დღეს აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ საქმე ერთობ მწყობრად და მარჯვედ მიდიოდა, თუმცა შეცდომა, როგორც ყველა სხვა საქმეში, აქაც ბევრი იყო, რადგან შეუცდომელი მარტო ხელთუქმნელი და მცონარაა. ქალაქმა ერთიან იცვალა ფერი...

მაგრამ აგერ დადგა დრო ახალის ამორჩევებისა 1890 წლის გასულს, და უცებ ეს მწყობრი მიმდინარეობა საქმისა ერთიან ჩაიშალა, ხოლო მისი ადგილი დაიჭირა დაუსრულებელმა უთანხმოებამ ცალკე საბჭოსა და გამგეობის შორის, ცალკე თვით საბჭოს წარმომადგენელთა შორის და აქედგან გამგეობის შემადგენელ ოთხ კაც შორის. ეს განხეთქილება, ნაცვლად მიყუჩებისა, თან და თან უფრო მწვავდებოდა ამ ორის წლის განმავლობაში და დღეს იქამდე მიაღწია, რომ აღარც ქართველი ხმოსანი ჰმალავს თავისს წყრომას სომეხ ხმოსნის მიმართ, აღარც უკანასკნელი—პირველის მიმართ. შემდეგს წერილებში ჩვენ შეძლებისამებრ გამოვარკვევთ მიზეზს ასეთის უცნაურის ცვლილებისას, რომელსაც ადრე უნდა მოეღოს ბოლო, თუ ან სომხებსა და ან ქართველ ხმოსნებს სახეში აქვთ მართალი სამსახური თივიანთის სამშობლო ქალაქისა და საქვეყნო საქმისა,—უნდა მოეღოს ბოლო, ვიდრე ამ უთანხმოებაში ჩაერეოდეს გარეშე ძალა, რომელსაც ყოველ-გვარი იარაღი აქვს ხელში, რომ ამ გამწვავებისა გამო ერთს დასსაც მოახრევინოს ქედი და მეორესაც.

მოქალაქე.

## ახალი ამბავი

⁂ იმ კომისიამ, რომელიც იქმნა ამორჩეული თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრების მიერ კახეთის რკინის გზისათვის, დაავალა თავის წევრს თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილს მიიღოს ხოლმე საჭირო ფული სათავად-აზნაურო ბანკიდამ ზემოხსენებულის გზის გამოსაკვლევად. კომისია ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ გაარკვიოს, რა პირობით და რა გზით უნდა მოხდეს კახეთის რკინის გზის სატეხნიკო გამოკვლევა, ვის მიენდოს ეს საქმე და, სახელდობრ, რა გამოკვლევისათვის რა დაიხარჯოს. კომისიამ გადასწყვიტა აგრეთვე, ვაუწყოთ გზათა სამინისტროს, რომ თავად-აზნაურობა უკვე აპირობს შეუდგეს გზის გამოკვლევას და თავის დროზე უმაღლესს მთავრობას სთხოვს, ნება კახეთის რკინის გზის გაკეთებისა მას მიენიჭოსო.

⁂ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებამ მიიღო ცნობა, რომ 7 თებერვალს შავის სახადით ავად გახდა ერთი გორის სატუსაღოს პატიმარი, რომელიც ამას წინად ავადმყოფებ პატიმართა მომვლელად იყო; საკვირველი აქ ისაა, რომ მანამდე სატუსაღოში არავინ გამხდარა ამ სენით ავად.

⁂ 22 თებერვალს, ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებამ მაზრის უფროსებსა და ქალაქის მოურავებს დაუგზავნა ტფილისის გუბერნატორის ცირკულიარი, რომელშიაც ბ-ნი გუბერნატორი ავალებს ტფილისის გუბერნიის ქალაქებისა და დაბების უფროსებსა და მოურავებს—ეხლავე დააწესონ ქალაქებსა და დაბებში სასანიტარო დასები და შეუდგნენ ქუჩების, ეზოების და სხვა ალაგების დაწმენდ-დასუფთავებასა, რომ ამ გაზაფხულს და ზაფხულს მზად იყვნენ ხოლერასთან საბრძოლველადაო, რათა ჩვენის დაუდევრობისა და გაურჯელობის მსხვერპლი არ გავხდეთო.

⁂ მთავარ-სარდალი კავკასიის ჯარებისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი იმ ბრძანებაში, რომელიც გასცა ჯარებს 16 თებერვალს, დიდის ქებით იხსენიებს კავალერიის გენერალს თ. ზ. გ. ჭავჭავაძეს, რომელმაც კავკასიის ჯართა კორპუსის უფროსობას დაანება თავი და დაჭრილთა კომიტეტის წევრად იქმნა დანიშნული. მთავარ-მართებელი აღნიშნავს თავად ზ. გ. ჭავჭავაძეს 50 წლის სამსახურს სამხედრო წოდებაში. ამ 50 წლის განმავლობაში გენერალ ჭავჭავაძეს ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა კავკასიის მთიულთა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავიც უსახელნია ვაჟკაცობითა, ჯართა შესაფერის გაწყობით და მტერთა დამარცხებით. ბევრი ასეთი მოქმედება თავად ზ. ჭავჭავაძისაო, ბრძანებს მთავარ-მართებელი, სამხედრო ისტორიაშიც აღიბეჭდაო.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა კვლავ უბრძანა პოლიციის ბოქაულთ, შეატყობინონ ყველას, ვისაც-კი გასაყიდი ღორები აქვს დამზადებული სააღდგომოდ, უთუოდ ქალაქის ლაბორატორიას გაასინჯვინონო. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილება და გაუსინჯველს ღორებს გაჰყიდის, სამართალში იქნება მიცემულიო. ამასთანავე აუწყეთ ისიც, რომ ლაბორატორიას შეუძლიან გასინჯოს დღეში 200-250 ღორიო.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის სამმართველოს მისვლია 1 თებერვლიდამ 20-მდე ღარიბთა დასახმარებლად სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედისაგან 151 მან. 50 კაპ. ფულად, ხოლო როტინოვისა და ჟირარდის მაღაზიებს გაუგზავნიათ თბილი ჩასაცმელ-დასახური. აქედამ დაურიგდა ფულად სხვა-და-სხვა ღარიბსა და გაჭირებულს 99 მან. ბევრს მიეცა კიდევ სამმართველოს მიერ მიღებული თბილი ჩასაცმელ-დასახური.

*** კვირას, 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ ღვინისაგან შექეიფიანებულნი გრიგოლ დავითის ძე და სიმონ ყაზბეგები შესულან სასტუმრო „გურიაში“, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა, და ბუფეტში მდგარ ყმაწვილისათვის უკითხავთ,—ჯანდიერი სადა სცხოვრობსო? ყმაწვილს უთქვამს, არ ვიციო. მაშინ გრიგოლ ყაზბეგს ყმაწვილისთვის შემოუკრავს, ყმაწვილს ყვირილი მოურთავს—მიშველეთ მცემენო. იქ მყოფი მუშები დ მეეტლები მიშველებიან. მაშინ გრიგოლ ყაზბეგს რევოლვერი უსვრია სამჯერ ყმაწვილისთვის, მაგრამ ეს უკანასკნელი უვნებლად გაქცეულა. ყაზბეგმა მეორე ბიჭს, მელიტონ წერეთელს, დაჰკრა თავში ხანჯალი და საბრალო ყმაწვილი დაეცა ძირს. ყაზბეგებმა ყოვლისფერს მტვრევა დაუწყეს, სანამ პოლიცია არ მოვიდა და საპატიმროში არ წაიყვანა ორივენი. მძიმედ დაჭრილი ბიჭი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს.

*** ფოთი: აქ ღვინის საწყობები, პატარა დუქნებს გარდა, თერთმეტია. სვირული ღვინო 1 ბოთლი 30 კ. ისყიდება და ფუთი 4—5 მ. სირაჯები ღვინოს აცოდვილებენ სხვა-და-სხვა წამლებით. მოშლილ ღვინოსკი იმავე საშუალებით შეაკეთებენ და მყიდველს თვალს უხვევენ. სასწორ ქვეშ, ყაფანში, სოფლიდამ ჩამოტანილ ღვინოების გასყიდვა აღკრძალულია, ღარიბი ხალხი ძლიერ შეაწუხა ამ გარემოებამ; ეხლა საწყობებიდგან და დუქნებიდგან ისე იაფად ვეღარ ყიდულობენ ღვინოს, როგორც სოფლიდამ ჩამომტანისაგან. მიზეზიც ეს გახლავთ, რომ ამ პატარა ქალაქში ამდენი საწყობებია გამართული.

*** სოფ. ფარცხმა (გურია): ჩვენ, ფარცხმელებმა, სწორედ არ ვიცით, რა არის ჩვენი სიკეთისათვის სასარგებლო და ან მავნებელი. უცოდინარობისა გამო ჩვენი სოფელი სავსეა სხვა-და-სხვა უგუნურ ჩვეულებითა, მაგრამ ეს ჩვეულებანი ბევრს ჩვენგანს სასარგებლოდ მიაჩნია და შეურყეველად ინახავს. მკითხაობა ძალიანა სწამს ჩვენს ხალხს და ერთს აქურს მკითხავს დიდი ზარალი მოაქვს, ზნეობასაცა რყვნის და ხალხს ერთმანეთის სამტროდ აქეზებს. ამ ვაჟ-ბატონმა თავისი მოქმედება დაიწყო 1882 წლიდამ, როდესაც ის დაბრუნდა ციმბირიდამ, რვა წლის იქ ყოფნის შემდეგ.

ძრიელ სასურველი იქნება, რომ პოლიციამ რაიმე დაჰხმარება მისცეს საზოგადოებას ამ ნაირ მავნებელ კაცის მოსაშორებლად.

*** სოფ. ზაკურცაძე (სიღ. მაზ.): რაც დეკემბრის და იანვრის თვეში თოვლი მოვიდა, სულ დადნა, და ალაგ-ალაგ დედამიწა აშრა კიდეცა; აილო თოვლი და ძლივს ელირსა პირუტყვ საქონელს ახლად ამობიბინებულ-ამწვანებული ბალახი.

ჩვენში წვრილმან ქურდობამ თან და თან უფრო იმატა; ესე დაბრიყვება და სასაცილოდ აგდება სოფლისა არ გაგონილა. ამ თთვის ექვს ჩვენ სოფლის მღვდელს ღამე მიუცვივდა რამდენიმე კაცი, შეუმტვრია ეზოს კარი, მაგრამ სახლის პატრონმა შეუტყო, გამოუვარდა და ყრიჯილი მორთო. ქურდები შეშინებულან და გაქცეულან. ამავე ღამეს ი. პ—შვილს ქათმები მოჰპარეს. ეჭვი ერთს 18—19 წლის ბიჭზე მიიტანეს.

ადგილობრივმა მოხელეებმა და ბოქაულმა აქამდის ვერაფრით ბოლო ვერ მოუღეს ასეთ ქურდობას და მაზრის უფროსს აცნობეს. მაზრის უფროსი 17 თებერვალს მობძანდა, შეჰყარა ხალხი და უთხრა, დღესვე უნდა „პრიგოვორი“ შეადგინოთ დ დამისახელოთ ამ სოფლის ქურდებიო, თუ თქვენთვის კეთილი გსურთო. სოფელმა ბევრის ყაყანისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ 6 კაცი დაასახელა. შემდეგ მაზრის უფროსმა სთქვა: თუ თქვენი მოხელეები ფხიზლად არ იქნებიან და არ უპატრონებენ სოფელს, მაშინ მთავრობა დაგინიშნავთ მამასახლისს, რომლის შენახვაც იაფად არ დაგიჯდებათო. ამ დღეს ამითი გათავდა ყრილობა და ვნახოთ, შემდეგი რაღას გვიმზადებს.

*** სომხურ გაზეთ „ტარაზის“ სიტყვით, მკურნალ ტერ-გრიგორიანცს მოუგონია ახალი სადეზინფექციო მანქანა, ძიელ მარტივ მოწყობილობისა და იაფიც: ღირს თითო 17—20 მანეთი („Кавказъ“).

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

15 თებერვალს

თ. ნ. დიასამიძე *). ბატონებო, მე აქამდის კრებებში ლაპარაკით მონაწილეობას არ ვიღებდი, მაგრამ რაც 1891 წელს კრებას უკუდო და უთავბოლო, შეთხზული ტელეგრამა წარმოუდგინეს, მას აქეთ ჩემი გული დამწვარია და როგორც ნათქვამია, გაჭირვება კუტს ფეხზე ააყენებს, ბრმას თვალს აუხელს და მუნჯს ენას ამოადგმევინებსო; და აი მეც მუნჯს ენა ამომადგმევინა. აქამდის კიდევ ჩვენი ბანკი პატარა ბანკი იყო, შეიძლებოდა გულ-გრილად ვყოფილიყავით, მაგრამ ეხლა მილიონებს ვტრიალებთ, უნდა გამოვფხიზლდეთ, ყველაფერს თვალი კარგა ვადევნოთ: ჭორიც რომ გავიგონოთ ქუჩაში, უნდა მოვიდეთ და ეს ჭორი შევამოწმოთ. ეს ორი წელიწადია, სულ კონვერსია მესმის, და მე უვიცმა ისე გავიცან ეს საგანი, რომ სიტყვას გაძლევთ, მე რომ გამგზავნოთ პეტერბურგში, სამ თვეზე მოგიხერხებთ. გამგეობის წევრნიკი სამჯერ იყვნენ და სამჯერვე ხელცარიელები დაბრუნდნენ. რასა ჰგავს ესა? 1891 წ. თავმჯდომარე ბანკისა წაბრძანდა პეტერბურგში განგებ ამ საქმის თაობაზე და იქიდან რას იწერება, კუჭის წვამ მიკლო და მადა კარგი მაქვსო... უკაცრავად, ამ სიტყვებისათვის, ბოდიშს ვიხდი... დიაღ სასიამოვნოა მაგათი კარგა-მყოფობა, მაგრამ კონვერსია რაღა იქნა? მას უკან კიდევ ორჯერ მიიარ-მოიარეს პეტერბურგი და იმის მაგივრად, რომ საქმე გაკეთებული დაეხვედრათ, უთავბოლო მოხსენებას გვიწერენ და გვეუბნებიან, ნება-რთვა მოგვეცითო. ნება-რთვა არ იყო რომ ორის წლის წინად მოგეცით?! ან ეს მოხსენება წაიკითხეთ, თუ თქვენ აქ გაიგოთ რამე. ქართული ხომ აღარ გვაღირსეს, წმინდა რუსული მაინც დაეწერათ, თორემ ფრანცუზული სიტყვებით აუვსიათ. მერე თქვენა გგონიათ, ყველანი ერთის აზრისანი არიან? არა, თავმჯდომარეს თავის საკუთარი აზრი ჰქონია, ის ბრძანებს მეორე გვარის კონვერსიის შესახებ, ეგ „НѢСКОЛЬКО ОПАСН-აღ“ მიმაჩნიაო. ეგ „ნესკოლკო“ რაღაა? თუ ოპასნია, ოპასნი უნდა იყოს. შარშან გამგეობის ერთმა წევრმა ბრძანა, როცა ჭკუითა და მეცნიერებით არის კაცი შეიარაღებული, მთელი არტილერია რომ წინ დაუყენოთ, ვერას უზამსო. ჭკუაც მანდ არის, სწავლა-მეცნიერებაც, არტილერიაც ზურგში გიდგათ და რა გიშლიდათ, რომ ამისთანა შეუმუშავებელი მოხსენებით კრება არ შეგეწუხებინათ?!.

თავმჯდომარე. ეგ კონვერსიის საქმეს არ ეხება.

თ. ნ. დიასამიძე. მე იმ აზრისა ვარ, დღეს კრება ამ საგანს ცნობიერად ვერ გასინჯავს და ისევ გადადებას ვამჯობინებ მომავალ ჩვეულებრივ კრებისათვის.

თ. დ. ავალიშვილმა უპასუხა თ. დიასამიძეს: თქვენ გვისაყვედურებთ, მოხსენება არ შეგიმუშავებიათო. ეგ ხომ ცალიერი სიტყვაა, აბა ერთი საბუთი მაინც წარმოადგინეთ. თქვენ ორი სიტყვა ამოგიღიათ და უალაგო ალაგს მოგყავთ, მოხსენების ერთის მუხლის შესახებ ნათქვამით გინდათ მთელს მოხსენებას წუნი დასდოთ. უმთავრესი საგანი შემუშავებულიც არის და გამორკვეულიც, ხოლო მცირე რამეში, შეიძლება, ჩვენ, ბანკის მმართველობის წევრნი ერთმანეთს არ ვეთანხმებოდეთ, ყველამ ჩვენ-ჩვენი აზრი წარმოვადგინეთ და გთხოვთ, რომელიც სამჯობინოდ დაინახოთ, ის დაამტკიცოთ. ეს მცირე უთანხმოება პირიქით იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ საკმაო სჯა გვქონია, საქმეს დაცკვირვებივართ დ ისე წარმოგვითქვამს ჩვენ-ჩვენი აზრი. განა შემუშავებული მაშინ იქმნებოდა, რომ ყველას ერთპაშად ხელი მოგვეწერა?

თ. ი. მაჩაბელი. სწორედ მოგახსენოთ, სრულიად არ მეხალისება ამ კონვერსიაზედ ლაპარაკი. ორი წელიწადია, კრებებში თუ გაზეთებში ეს სიტყვა გასცვითეს, ტყავი გააძრეს. სიტყვა ძველია, მაგრამ ჩვენ-და საუბედუროდ, ჩვენის ბანკისათვის ის დღესაც ახალია. სხვა საადგილ-მამულო ბანკებმა ყველამ გაათავა თავის კონვერსია, იქ 6 პროცენტიან გირავნობის ფურცელს წამლადაც ვეღარ იპოვით. იმ დღეს Новое Время-ში“ უცებ თვალი მოვკარ, 6 პროცენტიანი გირავნობის ფურცლების პატრონებმა, ვისაც კუპონების ვადა გაუვიდა, ახალი კუპონები მიიღონო. მე გამიკვირდა, ეს რომელი ბანკი უნდა იყოს მეთქი და შემრცხვა, როცა ზემოდ წავიკითხე: ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი. მე ბოდიშს მოვიხდი კრებასთან, თუ პატარა ვრცლად მომიხდება ამ საგანზე ლაპარაკი, და დოკუმენტების შემწეობით, რომელიც ხელთა მაქვს, განგიმარტავთ, თუ როგორ მოქმედობდა გამგეობა, და ამ კონვერსიის ისტორიას მოგახსენებთ. დაარსებიდანვე ჩვენს ბანკს ნება ჰქონდა მხოლოდ 6 პროცენტიანების ფურცლების გამოცემისა. მოიტანა დრომ, რომ ეს ფურცლები ხუთპროცენტიანებზე გადაცვლილიყო და ამით დიდი შეღავათი მისცემოდა ყოველს ბანკიდან ფულის ამღებს. ჯერ, რასაკვირველია, ნება-რთვა უნდა აეღო ბანკს 5 პროცენტიანი ფურცლების გამოცემისა. ეს ნება-რთვა, როგორც რიხიანის ტელეგრამით გვაუწყეს 1891 წ. მაისის 15 კრებაზე, მოვიდა კიდეც. მაგრამ აქ პატარა შეცდომაა, რომელსაც გასწორება ეჭირვება. მაისის 15 ეს ნება-რთვა ჯერ არ იყო და არ ვიცით, ტელეგრამა საიდგან გაჩნდა. ეს ნება-რთვა მიეცა ბანკს მხოლოდ ივნისის 27 ს 1891 წელს, ესე იგი თვე-ნახევარი რომ გავიდა იმ ამბის შემდეგ, როცა ის ტელეგრამა კრებას წარმოუდგინეს. იქნება მკითხონ, საიდან იცი, საიდან შეიტყეო? შარშანდელ საზოგადო კრების წინად მე ვიყავი ჩვენს ბანკში და გამგეობას ვთხოვე, მოეცა ნება ბანკის ზოგიერთი საქმის განხილვისა. გამგეობამ თავაზიანად ნება დამრთო. მე უფრო კონვერსიის ისტორიის გაცნობა მინდოდა, რადგან ვერ გამეგო, რად აგვიანებდა გამგეობა ამისთანა საჭირო საქმეს? რასაც აქ მოგახსენებთ, ყოველისფერი ბანკისავე ქაღალდებით და იქიდან ამონაწერებით მტკიცდება. აი, ბატონებო, დღევანდელ მოხსენებაში გამგეობა ამბობს: დიდი იმედია მალე და იაფად კონვერსია მოვახდინოთო, და იმიტომ შეგვყარა საგანგებოდ და ჩვეულებრივს კრებასაც არ მოუცადა, რომელიც სულ ორ თვეს უკან უნდა მოხდეს, რომ საქმე დაგვიანდებაო. წარმოიდგინეთ, რომ წლისა და ცხრა თვის წინად გამგეობამ მკათათვის არდადეგის სიცხეებში (ივლისის 28 1891 წ.) ესევე საგანგებოდ შეგვყარა, არიქა, ჩქარა ნება-რთვა მოგვეცით, კონვერსია მოვახდინოთო. მაშინდელი მოხსენებაც იმედებით სავსე იყო. აი რას ამბობდა გამგეობა: „რუსეთის ბანკებისაგან მოხდარი კონვერსია 75 მილიონისა უტყუარს საბუთს გვაძლევს ჩვენც, იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს კონვერსიას სრულიად ადვილად მოვახდენთ... რადგან ექვს ვერავინ შემოიტანს, რომ კონვერსია ახლა ნამდვილად შესაძლებელია და მსესხებელთაც არავითარი ახალი მსხვერპლი არ დასჭირდებათ და ზარალი არ მოუვათ. ამიტომ გამგეობა ზნეობრივ მოვალეობად რაცხს, მიიღოს ყოველივე ღონისძიება, რაცკი მაზედ არის დამოკიდებული, გაუიაფოს სესხი იმათ, რომელთაც ეს ბანკიდგანა აქვთ აღებული... გამგეობამ მიანდო პეტერბურგში წასულს თავის წევრს, გამართოს მოლაპარაკება ბანკირებთან ამ საგანზედ... იქიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ჩვენი თხოვნა კონვერსიის შესახებ კეთილად დაბოლოვდება“. ხომ ხედავთ, მაშინ გამგეობას დღევანდელზედ ნაკლები იმედი არა ჰქონია. ზნეობრივადაც-კი მოვალედ სთვლის თავის თავს და ეს მოხსენება დაფუძნებულია იმ იმედით სავსე წერილებზე, რომელთაც პეტერბურგში მყოფი მაშინ გამგეობის თავმჯდომარე უხვად უგზავნიდა გამგეობას. აი, ამონაწერი ამ წერილებიდან (წერილი თ. ი. ჭავჭავაძისა, ივლისის 3 1891 წ.) „... კონვერსიის შესახებ შემიძლიან ძალიან სასიამოვნო ამბები გაცნობოთ; ჯერ ერთი ესა, რომ კრედიტის კანცელარიაში მითხრეს,—არავითარი საბუთი არ არის, რომ მინისტრმა თქვენც სხვა ბანკებთან ერთად არ მოგცეთ ნება კონვერსიისაო; და მეორეც ესა, იმედი მაქვს და საკმაო საფუძველიც, რომ ჩვენს 5 პროცენტიან ფურცლებს 100 მან. და 50 კაპ. დავაბინავებთ; ეს სულ უკანასკნელია და იქნება, ღმერთმა ჰქნას, უფრო ძვირადაც გავყიდოთ. პირველი ეს არის მინისტრისაგან ნება-რთვა ავიღო და ბანკირებს-კი ბევრს ვეშოვით... მე ველი სტენოგრაფიულ ანგარიშების დაბეჭვდას კონვერსიაზედ, რომ კარგად გავიცნო ამ საგნის ყოველივე ვითარება და, სრულის ცოდნით აღჭურვილი, შევუდგე ჩვენის ბანკის სესხების კონვერსიას“. (მეორე წერილი თ. ი. ჭავჭავაძისა: ივლისის 9, 1731 წ.) „სანამ სტენოგრაფიულ ანგარიშს ველოდი, მე გადავწყვიტე თხოვნა მიმეცა მინისტრისთვის კონვერსიაზედ. თურმე თხოვნასთან საზოგადო კრების ნება-რთვაც უნდა წარმედგინა. ამაზედ კრედიტის კანცელარიაში არა მითხრეს-რა და, როცა თავაზიანად ვუსაყვედურე, მიპასუხეს, ეგ თქვენვე უნდა გცოდნოდათ და ჩვენგან თქმა რაღა საჭირო იყოვო...“

ადვოკატი რომ სასამართლოში მივა, რასაკვირველია, რწმუნების ქაღალდი („დოვერენოსტი“) თან უნდა მიიტანოს. რას ეტყოდით ამ ადვოკატას, თუ უსაყვედურებს მოსამართლეს, რატომ წინდაწინვე არ მითხარი, რომ რწმუნების ქაღალდი საჭირო არისო? პატივცემულ გამგეობის თავმჯდომარესაც ეს საქმე მოსვლია. ამ წერილის ძალით, როგორცა ვსთქვით, შეგვყარეს მკათათვეში, მივეცით ეს ნება-რთვა, საჩქაროდ გაუგზავნეს, მაგრამ ამ ნება-რთვამაც არა უშველა-რა: კონვერსია ვერ მოახდინა და ხელ-ცარიელი დაბრუნდა პეტერბურგიდგან. რას ამბობს გამგეობა თავის მოხსენებაში, რატომ ვერ მოვახერხეო? იმიტომაო რომ 1891 წ., აგვისტოში, კურსმა დაიწია საზოგადოდ და მინისტრი-კი ნება-რთვას არ აძლევს არავის კონვერსიისას, თუ 5-პროცენტიანის ფურცლების ფასი ას მანეთზედ ნაკლები იქმნებაო. ერთი მიზეზიც და მეორეც უსაფუძვლოა. მინისტრს არ აუკრძალავს კონვერსია, თუ გირავნობის ფურცლები 100 მანეთზედ ნაკლები ეღირება, და არ ვიცი, ეს საბუთი გამგეობის თავმჯდომარემ სად გამონახა! აგვისტოში კურსი დაეცაო. აი, მე მაქვს აქ ამოწერილი ბირჟის კურსი სხვა-და-სხვა დღეებისა; იმ დღისაც, როდესაც თავადი ჭავჭავაძე იმედით სავსე წერილებს იწერებოდა (ივლისის დამდეგს) და აგვისტოს თვით უკანასკნელი რიცხვებისაც. აქედგანა სცნობთ, რომ სახელმწიფო ქაღალდებს არამც თუ დაუწევიათ აგვისტოში, ფასი მომატებიათ კიდეც.

*) თ. ნ. დიასამიძისა და შემდეგ თ. ი. მაჩაბლის სიტყვები მოგვყავს ისე, როგორც გაზ. „კვალშია“ დაბეჭდილი, რადგანაც „კვალს“ ზემოხსენებული პირნი ვერ დასწამებენ გადასხვაფერებით მათის სიტყვების დაბეჭდვას.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ხედავთ, რომ გამგეობისაგან წარმოდგენილი საბუთი საზოგადოდ კურსის დაცემისა საბუთი არ არის. აქ საბუთი სულ სხვაა: დაუდევრობა, უზრუნველობა, საქმის უცოდნელობა. ეს კიდევ არაფერი. პირველად ვერ მოახდინეს კონვერსია, მეორედ და მესამედ რაღა ჰქნეს? მეორედ თ. ავალიშვილი შარშან მარტში წავიდა პეტერბურგს, რომ განგებ კონვერსიისათვის შეყრილ ბანკების წარმომადგენელთა კრებაზე დასწრებიყო. ამ კრებაზედ უნდა ყოველის მხრივ გაესინჯათ კონვერსიის საქმე და დაებოლოვებინათ. კრება მარტის 3 უნდა დაწყებულიყო და ტელეგრამაც მოუვიდათ მიწვევისა მარტის 3-სათვის. სამი ცამეტად წაიკითხეს და მარტის ორს აქედგან გაგზავნეს გამგეობის წევრი, რომელიც, რასაკვირველია, ერთ დღეს ვერ გადაფრინდებოდა და ამიტომ ვერც-კი ჩაუსწრო კრებას. ამაზედ მეტი დაუდევრობის მაგალითი-ღა გინდათ?! რა თქმა უნდა, მეორე კონვერსიაშიაც ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას. სხვა ბანკებმა-კი ყველამ თავისი ჰქნეს. ეხლა იმის მაგივრად, რომ ნამდვილი მიზეზი დაესახელებინათ, და თავიანთ შეცდომა პირნათლად აღეარათ, ისინი გამოურკვეველს, ბუნდიანს მოხსენებას გვიშლიან წინ და არ ყოფილს მიზეზებზე გვითითებენ...

თ. დ. ავალიშვილმა სთქვა, რომ არ მეგონა, თუ თ. ი. მაჩაბელი ყოველ ფაქტს თავისებურად ახსნიდა, ესე იგი ახსნაში თავის გულის წადილს ჩაატანდა. თ. ჭავჭავაძე, მართალია, გვაძლევდა პეტერბურგიდგან იმედს, რომ ჩვენი $5^0/_0$ ქაღალდების ფასი აიწევს და კონვერსია მოხერხდებაო. მაგრამ

თ. ი. ჭავჭავაძე. მე მინდა ჩემკენ გამოსროლილი ქვები უკანვე დავუბრუნო მსროლელთ. რაები არ დამწამეს. ვითომ მე მოვატყუე გამგეობა, ვითომ მე ტყუილის იმედებით ვანუგეშებდი, და სხვა ამისთანა ცოდვები. ჩვენ რომ მართლა საქმის სიყვარული გვქონდეს, თვით საქმის ვითარებას დავაკვირდებოდით და აბდა-უბდა ლაპარაკს არ გამოვუდგებით. რაკი ამისთანა უნარი არა გვაქვს, მეტი რა გზაა, ამისთანა უთავბოლო ლაპარაკით იძულებულნი ვართ ყური გამოვიჭედოთ. არ უნდა იყოს ასე, მაგრამ რა ვქნათ. საქმის შესახებ-კი მხოლოდ ამას მოგახსენებთ: ყველამ იცის, ვისაც-კი წაკითხულის გაგება შეუძლიან, რომ 1891 წელს, ივნისსა და ივლისში, გირავნობის ფურცლის ფასები მეტად დიდი იყო. ვინც საქმეში ჩახედულია, ესეც იცის, რომ ამ უკანასკნელ 7—8 წელიწადში ჩვენი გირავნობის ფურცლები სხვა ბანკების ფურცლებზედ $1^0/_0$—$1^1/_2{}^0/_0$ ნაკლებ ნაღდდებოდა ბირჟაზედ. რადგანაც 1891 წელს, ივნისსა და ივლისში, სხვა ბანკების ფურცლები $101^3/_4$ საღდებოდა და ორ-სამ შემთხვევაში 102-მდეც ავიდა, რა საკვირველი იყო, იმედი გვქონოდა, რომ ჩვენი გირავნობის ფურცლები 100 და $100^1/_2$-ად გაყიდულიყო. აქ რა არის დაუჯერებელი და უიმედო იმისათვის, ვინც-კი საქმეში ჩახედულია. ეგრე იყო 10 აგვისტომდე. 10 აგვისტოს ბირჟაზედ ხმა გავარდა, რომ რუსეთში შიმშილი ჩამოვარდა და ეს გარემოება ოფიციალურად ცნობილიაო. ამან ელდა დასცა ბირჟას, და დაიწყო ფასების კლებამ, ნამეტნავად გირავნობის ფურცლებისამ. ეს კლება იქამდე მივიდა, რომ იმ ბანკებსაც არ მისცეს ნება შემდეგის კონვერსიისა, რომელთაც უკვე ნება-რთვა ჰქონდათ და რომელთაც 1891 წლის ნახევარში მოახდინეს პირველი კონვერსია. მეორე ნახევრისათვის-კი, რაკი ფასები დაეცა, კონვერსია აუკრძალეს. ადვილად მისახვედრია, რისთვის მოხდა გირავნობის ფურცლების ფასების დაწევა. თითქმის 20 გუბერნიაში შიმშილი ჩამოვარდა. მაშასადამე ვალის ამღებ მემამულეებს ღონე აღარ უნდა ჰქონოდათ, ბანკის ვალს გასძღოლოდნენ. რაკი ბანკში შესატანს ფულს ვერ შეიტანდნენ, აშკარაა, ბანკებსაც უნდა გასჭირებოდათ თავიანთ მოვალეების პასუხის გაცემა, იმიტომ რომ, თუ ბანკს თავნსა და სარგებელში შემოსასვლელი ფული არ შემოუვიდოდა, გირავნობის ფურცლების პატრონთაც გაუძნელდებოდათ თავნისა და სარგებლის მიღება. აი რამ დააშინა გირავნობის ფურცლების პატრონები ცალკე და ბირჟა საერთოდ. ამას აი რა მოჰყვა: მაშინდელი ბირჟის უწყებანი რომ გასინჯოთ, ჰნახავთ, რომ 13 აგვისტოდამ დაწყებული ამ შიშმა გირავნობის ფურცლების ფასები $101^3/_4{}^0/_0$—$102^0/_0$-დამ ჩამოახდინა ოქტომბერში $95^0/_0$-მდე. ამისთანა ფასის დიდ-დაწევისა ორ-სამ თთვეში სხვა მაგალითი ძნელად მოიპოვება, ნამეტნავად გირავნობის ფურცლების კურსის ისტორიაში. აი მიზეზი, რამ დააბრკოლა, სხვათა შორის, ჩვენი კონვერსიაცა. გვეუბნებიან, რისთვის გარბოდით პეტერბურგში, თუ-კი კონვერსიას ვერ მოახდენდითო. ჩვენ აქ საყვედურის იმედი და სურვილი არ აგვისრულდა და კონვერსია ვერ მოვახდინეთ. არამც თუ ჩვენს ყურ-მოყრუებულს ბანკის მმართველობას, ანუ სხვა უკეთეს მმართველობას, რომელსაც თ. მაჩაბლისთანა მხნე და თავ-გამოდებული წევრები ეყოლებოდა, არამედ იდეალურ მმართველობასაც-კი არ შეეძლო მაშინ კონვერსია მოეხდინა, რადგანაც ჩვენ გირავნობის ფურცლებს დაბალი ფასი ედოთ წარსულ წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე. ეხლა-კი, როდესაც ფასმა 100 მანეთამდე აიწია, კონვერსია შესაძლებელია და ამისათვის გთხოვთ კიდეც, ნება მოგვეცით, დიდის ხნის თქვენი წადილი ავასრულოთ. მართალია, ამ ორის წლის წინად თქვენ დაგვრთეთ ნება, რომ კონვერსია მოგვეხდინა, მაგრამ წინად არ იყო ისე გამორკვეული კონვერსიის საქმე, როგორც ეხლა. მაშინ, მაგალითად, არც-კი ვიცოდით თუ სახელმწიფო ბანკის დახმარება შესაძლებელია. მაგას გარდა მაშინდელ თქვენის გარდაწყვეტილებით ჩვენ ნება გვეძლეოდა კონვერსია მოგვეხდინა იმ პირობით, რომ ჩვენი $5^0/_0$-იანი ბილეთები განაღდებულიყო 99 მანათად. მაშინ $1^0/_0$ მაინც ვალად დაედება მსესხებელთ. ეხლა-კი, იმედია ჩვენს ფურცლებს უფრო კარგს ფასად გავანაღდებთ და, თუ სახელმწიფო ბანკი მოგვეშველება, ისე, როგორც სხვა ბანკებს, მსესხებელთ გარდასახდელად აღარა დაედებათ-რა. ამისათვის გთხოვთ ახალ ნება-რთვას, თქვენსავე სასარგებლოდ, და ზოგი-კი წინააღმდეგობას გვიწევს, თითქოს საზარალო რასმე მოგახსენებდეთ ახლა ორიოდე სიტყვაც ბ-ნ კობიაშვილისა. აქ საკვირველი და საუბეუდრო აზრების არევ-დარევაა, ერთმანეთის სიტყვის ტყუილ-უბრალო ჩხრეკა და საქმის გაუგებრობა. რადა ჰგონიათ, რომ მამულის გადაგირავებით, $6^0/_0$ სესხის $5^0/_0$-ად შეცვლით, იგივე გაკეთდება, რაც კონვერსიითაო. თუ მამული თავისუფალი არ არის კერძო ვალისაგან, მისი გადაგირავება კანონით არ შეიძლება. ჩვენში იშვიათს მამულს არ აძევს კერძო ვალი და მაშ კონვერსიას იშვიათი მამულის პატრონი ეღირსება. ხოლო კონვერსიას, კერძო ვალი რაც უნდა დიდი იყოს მამულზე, ვერ დააბრკოლებს. ვერც ის გამიგია, რად უარჰყოფენ კონვერსიას ბანკის თანხის დახმარებით. ჩვენ ვსცდილობთ და ვეცდებით კიდეც ისეთს გზას დავადგეთ, რომელიც ჩვენთვის და მსესხებელთათვის უფრო სასარგებლოა. მაგრამ, თუ სხვაფრივ ვერ მოვახერხებთ, მეტი რა ღონეა, ჩვენს თანხას უნდა მივმართოთ. მართალია, დიდ ხანს გასტანს, ყველას ერთბაშად არ მიეცემა შეღავათი, მაგრამ, დღეს რომ ერთს გავუადვილოთ საქმე, ხვალ მეორესა და მესამეს, განა ეგ ნაწილი არ იქნება იმ დიდის კეთილისა, რომელსაც კონვერსიისაგან მოველით? განა ნაწილი კეთილისა იგივე კეთილი არ არის?

თ. ი. მაჩაბელი. ტყუილია, ვითომც 1891 წელს ზაფხულში $5^0/_0$ გირავნობის ფურცლების ფასი ერთობ დაეცა და ამის გამო არ მოხერხდა კონვერსია. პირ-იქით, მაშინ ფურცლებს კაი ფასი ჰქონდათ.

ღირსნი-კი არ ვიყავით, არამედ ქებისა იმათის მხრით, ვინც ამ საყვედურს გვეუბნება. ჩვენ წავედით სამინისტროში იმ პროგრამის ძალით თ. ი. მაჩაბლისა, რომლის არ-ასრულება თითქმის მეორედ-მოსვლის ნიშნად ჩასთვალეს ზოგიერთებმა. ხომ გახსოვთ, რა ყოფა დამაწიეს მე! ვითომ ქვეყანა დავღუპე, იმიტომ რომ, როცა მინისტრი ბრძანდებოდა აქ, არა ვნახე და ჩვენის გულის დარდი $5^0/_0$-იან გირავნობის ფურცლის გამოცემის გამო არ შევატყობინე. ეხლა სამჯერ წავედით, რომ ჩვენი დარდი კონვერსიის გამო შეგვეტყობინებინა და ამასაც ცოდვად გვითვლიან. იქ არ წავედით—ცოდვად ჩაგვითვალეს, აქ წავედით, რამდენჯერმეც,—და მაგასაც ცოდვად გვითვლიან. ესეც-კი ვიცით, რომ კონვერსიის საქმეზედ არ წავსულიყავით, ახლა იმას გვისაყვედურებდნენ, რომ წასულიყავით, მინისტრი კონვერსიის ნებას მოგცემდათო. მოდით და გაიგეთ, ჩვენ მაყვედრებელთ როგორ მოვაწონოთ თავი!

თ. ივ. მაჩაბელი. მე ამოწერილი მაქვს, რა ფასები ჰქონდა პეტერბურგის ბირჟაზედ გირავნობის ფურცლებს: $101^1/_2{}^0/_0$—$102^0/_0$-მდე იყიდებოდა სხვა ბანკების ფურცლები.

თ. ი. ჭავჭავაძე. ეგ ცნობა საიდამა გაქვთ?

თ. ი. მაჩაბელი. გაზ. „Кавказъ“-იდამ.

თ. ი. ჭავჭავაძე. იქნება "Кавказъ"-ში შეცდომით იყო. მე-კი ამას ვამტკიცებ, რომ 10, თუ 13 აგვისტოდამ ფასებმა ძალიან კლება დაიწყეს.

ბ-ნი ს. კობიაშვილი. ეგ კონვერსია საზარალოა. (ისმის აქედ-იქიდგან ხმა: რათა, რისთვის? ბ-ნი კობიაშვილი სცდილობს თავის აზრის დამტკიცებას. აღარა ისმის-რა...)

---

# ქუთათური თეატრი

## წერილი მეორე

ქ-ნ ეფ. მესხის ბენეფისი

(შემდეგი *)

მეორე მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ მარგარიტას, სიყვარულისაგან კლანჭჩაჭიდებულს; რაღაც ახალი, მისთვის სრულიად უცხო გრძნობა აღელვებს ქალს; უცნაურ სიტკბოებასა და მღელვარებას ჰგრძნობს მისი გული. არმანის მოლოდინში გული ძალზედ უცემს. არმანიც შემოვიდა, მუხლი მოუყარა და მოეხვია საყვარელს არსებას. შეიქნება საამური ჭიკჭიკი ორთა ერთ სულად და ხორცად შეწნულთა, გაერთებულ არსებათა. ამ დროს მარგარიტა უამბობს არმანს ერთს სასიხარულო ამბავს, რომ მინდა და ლონისძიებაცა მაქვს საზაფხულოდ ქალაქს გარედ, სოფლად გავატარო სამი თთვე შენთანაო. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ—მზეს ჩრდილი ახლავს ხოლმე და დიდს სიყვარულს—იჭვი თანა სდევს. გამოემშვიდობება თუ არა არმანი მარგარიტას, მოჰკრავს თვალს გრაფ ჟირეის, რომელიც მარგარიტასთან შედის. ეს სრულიად საკმაოა, რომ საბრალო არმანი იჭვიანობით გაცოფიანდეს. იმ წუთშივე მისწერს წყენისა და წყრომის წერილს მარგარიტას. „ჩვენ შორის ყოველივე გათავებულია, დავიწყებას მივსცეთ ჩვენი სიყვარულიო; მე ეხლავე ვტოვებ პარიჟსაო; ვაი რომ მეც მილიონები არა მაქვსო“. მარგარიტას უანგარო გრძნობა ამ ნაირის უშვერ სიტყვებით შეურაცხებამ კინაღამ ჩასახვის უმალვე დააზრო და დაათრთვილა; მაგრამ მზე თანდათან გამოდის ისევ ღრუბლებიდგან; მათი გული ერთმანეთს მოსძებნიან საპასუხოდ. როცა მარგარიტა ცხარე ლაპარაკის შემდეგ ნაღვლიანად ეუბნება არმანს, რაც იყო მიზეზი მათის დაკავშირებისა, სხვათა შორის, წარმოსთქვამს: „ხანდისხან მე შემძაგდება ხოლმე ჩემი ფუჭი სიცოცხლე, რომელშიაც თავქარიანობის და ფუქსავატის ამპარტავნების მეტი არა არის-რაო. ჩვენს თავს ძალას ვატანთ და ვმხიარულებთ, არა გვყავს უანგარო მეგობარი, არა გვყავს ნამდვილი მიჯნური, რომელსაც უანგარიშოდ უყვარდეს მთელი ჩვენი არსება. მე შენ გპოვე ყმაწვილი, სიყვარულით სახმილ-მოდებული და ბედნიერი. შენი ცრემლები, ჩემთვის მზრუნველობა მაძლევდა იმედს, რომ დავუსხლტებოდი ხელიდგან ჩემს მარტოობას, ჩემს გრძნობას სიცალიერისას. ერთს წუთში მე საძირკვლად ჩავდგი შენი სიყვარული და ზედ ავმართე მთელი შენობა ჩემის მომავალ ცხოვრებისა; დავიწყე ფიქრი სიწმინდეზე, სოფლად ცხოვრებაზე, მოვიგონე ჩემი ბავშობა, მაგრამ, ვხედავ, რომ ყველა ეს შეუძლებელი ყოფილა“. ამას შემდეგ არმანი ჩაიკრავს მას გულში და შეჰფიცავს ზენაარით, რომ ყოველი მისი ოცნება განხორციელდება.

მესამე მოქმედებაში მარგარიტა სოფლად არის. სამს თთვეს არმანთან ყოფნით სრულიად განწმენდილა და გასპეტაკებულა; ცხოველ-მყოფელი, ტკბილი, უნეტარესი გრძნობა ჩასვენებია გულში და იმ ზომამდე გაუმსჭვალავს, რომ მზად არის ყველაფერი ანაცვალოს თავის იმედს და სასოებას, როგორც სიმდიდრე, ისე მთელი თვისი სიცოცხლე. არმანიც ამ ნაირის გრძნობით არის შეპყრობილი. ერთმანეთის ნამალევად მოახდენენ განკარგულებას, გაჰყიდონ ყველაფერი, რაც გააჩნიათ, და მოიტანონ ზვარაკად სიყვარულის ტაძარში; არმანი რამოდენისამე საათით კიდევაც ეთხოვება მარგარიტას თავის განზრახვის შესასრულებლად. მაგრამ ამ მყუდრო წუთი-სოფელში ყველაფერი წუთიერია. სწორედ ამ დროს მარგარიტას მოწმენდილი ცა იღრუბლება და დაიწყებს ჭექა-ქუხილს. გამოჩნდება არმანის მამა, მრისხანე მბრძანებელი, და მოითხოვს თავის შვილს; მაგრამ, რომ შეამჩნევს, რა ღრმა სიყვარული არსებობს მათ შორის, რომ მარგარიტა არა თუ არას ჰხარჯავს არმანისას, არამედ თვით მარგარიტა არის არმანზედ გადაყოლილი, მაშინ არმანის მამა დასტკბება და გრძნობიერის სიტყვით შეაცოდებს თავს მარგარიტას. ჯერ აუწერს თავის ოჯახის მდგომარეობას, შეაცოდებს თავის მშვენიერს ახალგაზდა, წმინდა ანგელოზს ქალს, რომელიც ვერ გათხოვდება, თუ არმანი არ შესწყვეტს მასთან კავშირს, რადგან ეს კავშირი ქვეყნის თვალში შესანდობელი და მოსაწონი არ არის, რაც უნდა წმინდა და დიადი იყოს. შემდეგ დაუხატავს მარგარიტას მათ მომავალ ცხოვრებას, თუ გაგრძელდა მათ შორის კავშირი: სიბერის დროს მოგელით ნაცვლად სიყვარულისა სიძულვილი და ზიზღი ერთმანერთისა, რადგან არ გექნებათ წარსულში უმანკოება და აწმყოში სარწმუნოება და ოჯახი; თქვენი ეხლანდელი სიყვარული დამყარებულია წუთიერ ვნებათა ღელვაზე, რომელიც მალე გაჰქრებაო. ბოლოს შეევედრება: ნუ გადაჰყვები წუთიერ გულის-თქმას და აჩუქე ორი შვილი მათთვის თავ-დადებულ მშობელსაო; მოსპე სამუდამოდ არმანთან კავშირიო. ამ ნაირ შეგონებამ და ვედრებამ სრულიად დაატყვევა გულკეთილი მარგარიტა. გულის ქენჯნით ემშვიდობება მარგარიტა თავის იმედს, სასოებას, თითქმის სიცოცხლესაც და ბოლოს დაჰყვა ნებას არმანის მამას. მაგრამ როგორ 'განშორდეს არმანს, რა ღონე იხმაროს. წავიდეს სადმე, არმანი გამოედევნება, უთხრას, არ მიყვარხარო,—არ დაიჯერებს. ბოლოს მიაგნო უებარ საშუალებას და, ნაცვლად ამ უზომო მსხვერპლისა, მოსთხოვა არმანის მამას პირობა, რომ ჩემ სიკვდილს შემდეგ, რომლის მოახლოვებასაც ვგრძნობ, აუხსენი შენს შვილს ყოველივე გარემოება და უთხარი, თუ როგორ მიყვარს. უკანასკნელი ზრუნვა მარგარიტასი ის იყო, რომ მამა მიშველებოდა შვილს, როცა გაიგებდა განშორების საზარელს ამბავს. მამა ახლო-მახლო მიიმალება. შემოდის არმანი და ატყობს, რომ მარგარიტა აღელვებულია. ეკითხება მიზეზს. საბრალო მარგარიტა გადაუკრავს ლაპარაკს, ხან ცრემლით სავსე თვალებით, ხან სიცილით ეალერსება და ემშვიდობება სამუდამოდ თავის სიცოცხლე—არმანს და არ ამჩნევინებს, რომ ეს ალერსი გამომშვიდობებისა არის. შემდეგ მოიმიზეზებს საქმეს და გავაცოტას ხნით ვითომ ბაღში. არმანმა არაფერი იცის, მხოლოდ გული უტოკავს უმიზეზოდ. ამ დროს მარ-

---

*) იხ. „ივერია“ № 39.

გარიტას წერილს შემოიტანენ. მარგარიტა იწერება: „დამივიწყეთ, არმან, მე სხვას ვეკუთვნი“. არმანი თავ-ზარ დაცემული დაეყრდნობა მამას, რომელიც იმ წამსვე მასთან ჩნდება.

მეოთხე მოქმედებაში არმანი შეხვდება მარგარიტას და სასტიკად შეურაცხჰყოფს საბრალო გულ-ჩათუთქულ და თავ-განწირულ ქალს.

მეხუთე მოქმედებაში მარგარიტა მდებიარე ავადმყოფია. შეუბრალებელმა სენმა გული გამოღრღნა. მარგარიტა მარტოა, ყველასაგან მივიწყებული, სიღარიბეში, ბევრი სიცოცხლე აღარ დარჩენია და ამ ცოტას ხანში სულ არმანზე ჰფიქრობს, მის წერილს ელის. ახალ-წლის პირველი დღეა. გარეშემო ყველა მხიარულად არის, მხოლოდ ესაა დავრდომილი და გულ-მკვდარი. ერთი სანატრელი-ღა დარჩენია სიკვდილის-ჟამს— არმანის ნახვა. ამ დროს გაჩნდება, განგებით, არმანიც. ნეტარებით და სიხარულით შეჰკივლებს მარგარიტა და მოეხვევა კისერზე. მის ალერსს საზღვარი არა აქვს. იმედიც მოეცა მორჩენისა. არმანმა ეხლა ყველაფერი იცის მამისაგან. შორის ქვეყნიდგან მოიჭრა მისაშველებლად, მაგრამ გვიან-ღაა. მარგარიტა კვდება ბედნიერი მით, რომ საყვარელმა არსებამ თვალი დაუხუჭა უკანასკნელად.

კ. ბ—ძე

(დასასრული იქნება)

## დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**რუისი** (გორის მაზრა). ვისაც-კი თვალ-ყური უდევნებია შარშან ხოლერის მსვლელობისათვის, ყველამ იცის, რა საკმაო ხარკიც აიღო ხოლერამ რუისელებისაგან. თითქმის ოჯახი აღარ დარჩენილა, რომ ერთი ადამიანი მაინც არ ემსხვერპლა. ისეც განადგურებულ გლეხ-კაცობას სულ ბოლო მოუღო. გლეხკაცობისთვის ორ ნაირად საგრძნობელია სიკვდილი: ჯერ ჰკარგავს თავის საყვარელ არსებას, ზოგჯერ მარჩენელს, მერე სულ ლატაკდება და იღუპება. არავინ არის იმისთვის რიგიანი მრჩეველი და ხელის მიმწოდებელი. მეტი ჯანი არა აქვს, რასაც თავის-თავად აგონებს ღმერთი, ისე იქცევა.

რომ ვთქვათ, დიდი სოფელიც არის, ორიოდე რიგიანად გაგებული ადამიანიცა გვყავს, სკოლაცა გვაქვს, ბანკიც, პურის მაღაზიაც (ღმერთმაკი იცოდეს, ყველა ეს დაწესებულებანი როგორ მდგომარეობაშიაც არიან). არც მამასახლისი გვყავს გაუგებარი, მაგრამ მაინც ასე სიკეთეს ჩამორჩენილი ამოდენა სოფელი, არა მგონია, იყოს გორის მაზრაში. რაც ხოლერამ დააკლო, ამ საშინელმა ზამთარმა შეუსრულა აქაურებს. ეს რამდენიმე წელიწადია, ხეხილებსა სჩეხენ და იმითი გამოდიან, რადგანაც, ულმერთო გადასახადს თხოულობენ ტყის პატრონები. გასაყიდი შეშა აქ არ შემოაქვთ. ერთ ახლო სოფელსა აქვს აღებული ციციაანთ ტყე, გაყიდვის ნებაცა აქვთ მიცემული, მაგრამ, თუ გაიგეს, რომ რუისელ კაცს მიჰყიდა, გაურისხდებიან და ხეირს აღარ დააყრიან. უშეშობისა და ცუდის ზამთრის მიზეზია, რომ ასე ხშირადა ხდებიან ავად: ზოგს მჭვალი ადგება, ზოგს სახადი ხვდება და ზოგს კიდევ რა. ექიმი აქ არ არის და წამალი; გორიდამ მოყვანა იაფად არ დაუჯდება გლეხკაცსა და მეტი ჯანი არა აქვს, სოფლის ექიმ-დედაკაცს და მკითხავს უნდა მიმართოს, მაგრამ ვაი რომ, ისინი უარეს დღეს აყენებენ. ხუთი ექვსი ამისთანა დედაკაცია ეხლა აქა, რომლებიც თან კიდეც ექიმობენ. რამდენი გაუსტუმრებიათ, და კიდევ ვინ იცის, რამდენი გახდება იმათი წერა. ერთი კარგი ვაჟკაცი გახდა ეხლა ავად რუისის სამამასახლისოში. ერთ ამ ნაირ დედაკაცს გამოურთმევია ორი მანათი, მე უწამლებ, ეგ მოწამლულია, სიყვარულის წამალი უჭმევიათო. დაულევინებია ღვინოში გაკეთებული რაღაც ბალახ-ბულახი, ასტეხია პირ-ღებინება და სისხლის საქმობა საწყალსა და არა გვარი ნიშანი აღარა აქვს სიცოცხლისა. წამლის დალევამდის კი მარტო უბრალო სიცხე ჰქონია და, უეჭველია, ამ დღეში არ ჩავარდებოდა, ის დედაკაცი რომ არ ყოფილიყო.

პირდა-პირი მოვალეობაა, მღვდელმა და მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს, რომ არ გამეორდეს და არ გამეოცდეს ამ გვარი ქცევა.

წრეულსაც, როგორც სხვები, ჩვენც მოველით ხოლერას, თუმცაკი არაფერი მომზადება გვეტყობა იმის ჯეროვნად დასახვედრად. იმედია, შარშანდელივით მხნედ მოიქცევა ჩვენი მამასახლისი გ. მამაცაშვილი. ცოტა ხანია, რაც მამასახლისად არის ძ ჯერ არაფერი სამდურავი არა გვეთქმის-რა. კეთილი განძრახვა ბევრი აქვს, თუ ხელი მოუმართეს და სისრულეში მოაყვანინეს.

მინდოდა ცოტა რამ სკოლაზედაც მომეწერა, მაგრამ შემდეგისთვის დარჩეს.

აქაური.

## დეპეშა

23 თებერვალი.

**ლონდონი.** ზანზიბარიდგან იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს წყალმანკით გარდაიცვალა ზანზიბარის სულთანი; იმ წამსვე ზანზიბარის კუნძულზედ გაჩნდა ინგლისის 250 ზღვის ჯარის კაცი და სულთნის შვილის სასახლის კარის წინ დარაჯები დააყენეს. კამიდმა მოასწრო სხვა კარებიდგან სასახლეში შესვლა და სცდილობდა შიგნიდგან დაეკეტა სასახლის კარები. მაგრამ ბრიტანიის ელჩის ბრძანებას დამორჩილდა; ბრიტანიის ელჩმა კამიდი თავისავე სახლში დააპატიმრა; შემდეგ ბრიტანიის ელჩმა ზანზიბარის სულთანად აღიარა გამიდ ბინტვეინი, ბიძაშვილის-შვილი 1888 წელს გარდაცვალებულის ბარგამისა.

**იერუსალიმი.** წუხელ მაცხოვრის საფლავის სომხების გალლერეიას ცეცხლი გაუჩნდა; ზარალი დიდი არ მომხდარა და კაცი არავინ დაშავებულა. ბაზილიკაში ათასამდე რუსეთიდგან მოსული მლოცავია. ელჩი და გუბერნატორი შეუდგნენ გამოძიებას, რა მიზეზით გაჩნდა ცეცხლიო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მიცემულისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,58 | 7,62 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 1/2 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,07 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 1 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

## განცხადებანი


მეფუტკრეობისა და აბრეშუმის ჭიის მოვლის მცოდნეს

სურს იშოვოს ადგილი სოფლის მამულში. მსურველმა ჩემი ვინაობა უნდა იკითხოს საგაზეთო სააგენტოში, რომელიც „Тиф. Лист.“-ის რედაქციის გვერდზე იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ. (2—2)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ალექსი თუთაევისა

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს.და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—1) ალ. თუთაევი

ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 ,,ქართულ წიგნთ-საკითხავში“ დაარსდა

ნოტებით ქართულ გალობის

ს წ ა ვ ლ ა

გალობას ასწავლის ბ-ნი ფ. **ქორიძე**, ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თითოეულს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს. გალობის სწავლა შეუძლია ყველა წოდების კაცს, სწავლის ფასი არ ერთმევათ და ნოტების ქაღალდიც მუქთად მიეცემათ. ხოლო უკეთუ ვინმე მოსწავლეთაგანი ისურვებს და თვით გალობის წარმატებისთვის შემოსწირავს რამეს, დიდის მადლობით მიღებულ იქნება. დრო და დღე დანიშნული იქნება თვით მოსწავლეთა სურვილის თანახმად. რადგან ნოტებით გალობა ახალი საქმეა ჩვენში და მისი მოსმენა ბევრისათვის საყურადღებოა, ამისთვის ყოველ დღესასწაულის წინა დღით გამოცხადებული იქნება, თუ რომელს ეკკლესიაში იგალობებს მგალობელთა გუნდი. გალობა გადაღებულია ქუთაისში იქაურ საუკეთესო მგალობელთა დახმარებით ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—42)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Февраля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.